თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2014 წლის 6 ივნისის სხდომის ოქმი #7

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. თ. ბერიძე; ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი 23, სტუდენტები 2, სულ 25 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

4. 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ

/სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიუჯეტით გათვალისწინებული სამივლინებო, წარმომადგენლობითი, სესიების, კონფერენციებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის საჭირო თანხების გეგმაზომიერად განკარგვის მიზნით კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი #1)

/დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

6. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის ახალი რედაქციის განხილვა და დამტკიცება (იხ. დანართი #2)

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

7. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორიის შექმნის შესახებ (იხ. დანართი #3)

/დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

8. მიმდინარე საკითხები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თ. ბერიძემ

საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.
მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.
/დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტს განცხადებით მომართეს 2008 წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა დიპლომების შეცვლის თაობაზე დიპლომში არასწორად მითითებული აკადემიური ხარისხის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის #126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიულ დეპარტამენტის განმარტებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის #162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ, ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო დიპლომის ფორმაში აღნიშნული რეკვიზიტის მითითება. აქედან გამომდინარე, "დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის შესახებ" თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის #55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტების დადასტურება ან/და აღდგენა.
ქალბატონმა მარინამ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ 2008 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ წარმოებული ოქმები არ იძებნება. ამ წლებში აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდებოდა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების (ოქმის) შესაბამისად, რის საფუძველზეც მზადდებოდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინება. შემდეგ გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. 2008 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე დეკანის/დეკანის მოადგილის მიერ სხვადასხვა დროს ხელმოწერილ წარდგინებებში ფიქსირდება ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული 2

ოქმი (ოქმი #2, 14.04.2008 და ოქმი #3, 30.06.2008), რომელთა საფუძველზეც გამოიცემოდა თსუ რექტორის ბრძანებები 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის თაობაზე.
ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებით 2008 წლის კურსდამთავრებულებზე დადგინდა შემდეგი ინფორმაცია:

1. დავით ჩუბინიძე ჩაირიცხა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების პერსონალის მართვის სპეციალობაზე, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 241 კრედიტი. თსუ რექტორის 2008 წლის 31 ოქტომბრის #1735/01-04 ბრძანებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით. ვინაიდან, მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ 2014 წლის 25 აპრილის (ოქმი #6, 25.04.2014) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დავით ჩუბინიძისთვის მინიჭებული ხარისხი შეიცვალა "ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით".
2. გიორგი მუჯირი და ანრი ჩხაიძე ჩაირიცხნენ ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ანრი ჩხაიძემ აითვისა 251 კრედიტი, ხოლო გიორგი მუჯირმა დ 250 კრედიტი. თსუ რექტორის 2008 წლის 14 ივლისის #874/01-04 ბრძანებით ანრი ჩხაიძეს და 2008 წლის 13 ოქტომბრის #1554/01-04 ბრძანებით გიორგი მუჯირს მიენიჭათ ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით. ვინაიდან, მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ 2014 წლის 25 აპრილის (ოქმი #6, 25.04.2014) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ანრი ჩხაიძისთვის და გიორგი მუჯირისთვის მინიჭებული ხარისხი შეიცვალა "სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხით".
3. გიგა ჯალაღონია ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების ფორმაზე ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით (ბრძანება #4/963, 27.08.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 241 კრედიტი. 2009 წლის 15 იანვრის #40/01-04 ბრძანებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით. ვინაიდან, მინიჭებული

კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, ამიტომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 27 თებერვლის (ოქმი #3, 27.02.2014) სხდომაზე გიგა ჯალაღონიასთვის მინიჭებული ხარისხი შეიცვალა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

4. თამარ თარალაშვილი ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო სექტორის დასწრებული სწავლების ფორმაზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით (ბრძანება #4/963, 27.04.2004). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 246 კრედიტი. 2009 წლის 15 იანვრის #36/01-04 ბრძანებით მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით.

საქმის წარმოებისას აგრეთვე გამოირკვა, რომ

- ანრი ჩხაიძესთან ერთად ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა გიორგი კასრაძეს, ვახტან ჭარაიას და ნოდარ სილაგაძეს (რექტორის ბრძანება #874/01-04, 14.07.2008), ხოლო გიორგი მუჯირთან ერთად გიორგი სანდროშვილს (რექტორის ბრძანება #1554/01-04, 13.10.2008). მათ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მათი სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ფაქტი;
- ასევე, თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის #40/01-04 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად 2008 წლის სხვადასხვა სპეციალობების კურსმოსმენილებს, გიგა ჯალაღონიასთან ერთად, შესაბამისი კვალიფიკაციებით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 60 კურსმოსმენილს - მენეჯერის კვალიფიკაციით, ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 23 კურსმოსმენილს ჯანდაცვის მენეჯერის კვალიფიკაციით, პერსონალის მართვის სპეციალობის 10 კურსმოსმენილს ადამიანური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით, აღრიცხვა, კონტროლი აუდიტის სპეციალობის 78 კურსმოსმენილს ბუღალტერიის კვალიფიკაციით (ix. danarTi #1).
- ასევე, თსუ რექტორის 2009 წლის 15 იანვრის #36/01-04 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად 2008 წლის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 67 კურსმოსმენილს, თამარ თარალაშვილთან ერთად, მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით (ix. danarTi #2).

პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტზე მათი სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ფაქტები.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. გ. ღაღანიძემ, ასოც. პროფ. თ. ბერიძემ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 25;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის მიერ 2008 წელს კურსდამთავრებულთათვის აღდგეს სავალდებულო რეკვიზიტები - აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების (ოქმის) ნომერი და თარიღი. მიზანშეწონილია ამ გადაწყვეტილებების თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო "პ". კერძოდ:

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პერსონალის მართვის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ დავით ჩუბინიძის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2008 წლის 31 ოქტომბერი და ნომრად #1735/პ.
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ გიორგი მუჯირის და გიორგი სანდროშვილის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2008 წლის 13 ოქტომბერი და ნომრად #1554/პ.
- ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ ანრი ჩხაიძის, გიორგი კასრაძის და ვახტანგ ჭარაიას, ასევე ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ ნოდარ სილაგაძის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს 2008 წლის 14 ივლისი და ნომრად #874/პ.
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის მიერ კურსდამთავრებულთათვის, მათ შორის გიგა ჯალაღონიასთვის 2008 წელს ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებს თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2009 წლის 15 იანვარი და ნომრად #40/პ.

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის 30 ივნისის საატესტაციო კომისიის მიერ კურსდამთავრებულთათვის, მათ შორის თამარ თარალაშვილისთვის 2008 წელს ხარისხის/კვალი¬ფიკაციის მინიჭებს თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2009 წლის 15 იანვარი და ნომრად #36/პ.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება გავრცელდეს ბრძანებებში (#36/01-04, 15.01.2009 და #40/01-04, 15.01.2009) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში (იხ. danarTi 1, danarTi 2).

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/ მომხსენებელმა ქალბატონმა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2010 წლამდე (ვიდრე არ იქნა ამოქმედებული ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბრძანება #120/ნ, 10 დეკემბერი, 2010 წელი) კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხების კორექტირება შესაბამისი დროისათვის მოქმედი რეგულაციის მიხედვით. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს აღნიშნული ბრძანებით მინიჭებული ყველა ხარისხის კორექტირება იმ დროისთვის მოქმედი რეგულაციის - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633-ის მიხედვით.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ე. ხარაიშვილმა, პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 25;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633-ის მიხედვით მოხდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის 15.01.2009 წლის N36/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხების კორექტირება:

1) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის (ეკონომისტ-ექსპერტის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:

სახელმწიფო დაფინანსება 100%

1. ახალაია ალექსანდრე

2. ბერიანიძე ნინო
3. ბექაური ნინო
4. ბორცვაძე ლევანი
5. გოჩაშვილი მაია
6. ინასარიძე დიანა
7. იმედაშვილი ანზორი
8. კაცაძე ალექსანდრე
9. კუპატაძე ზურაბი
10. ლონდარიძე ნინო
11. მაისურაძე მაგდანა
12. მათოშვილი ხატია
13. მელიქიძე ნინო
14. მეზურნიშვილი ირინა
15. მუმლაძე ალექსანდრე
16. ოდიკაძე ოქსანა
17. ოქროპირიძე გიორგი
18. ჟღენტი თათია
19. რჩეულიშვილი თამარ
20. სამხარაძე თათია
21. სუარიშვილი ნათია
22. ფურცელაძე სოფიკო
23. ქოჩქიანი სოფიკო
24. შევარდენიძე ნინო
25. ჩადუნელი ნატო
26. ჩილინგარაშვილი ქეთევანი
27. ჭანტურია თამარი
28. ხარაიშვილი გიორგი
29. ჯავახიშვილი მაკა
30. ჯაფარიძე ნელი

სახელმწიფო დაფინანსება - 0%

1. აბეწვაშვილი გიორგი
2. ბაინდურაშვილი თეიმურაზი
3. ბეკარაშვილი გიორგი
4. ბერიძე თეონა
5. გავაშელიშვილი ზვიადი
6. გელაშვილი თინათინი

7. გიგოლაშვილი მაია
8. გონიაშვილი ანა
9. დავითაძე გიორგი
10. ვედიაშვილი არჩილი
11. თამაზაშვილი ნინო
12. თარალაშვილი თამარ
13. თურმანიძე გიორგი
14. კაკაშვილი ნინო
15. კიკაბიძე გრიგოლი
16. ლიპარტია ანა
17. მატუა ნინო
18. მაცაბერიძე თამარი
19. მებურიშვილი სალომე
20. მემანიშვილი ლევანი
21. მიქაია ნანა
22. სიჭინავა ნანა
23. ქავჟარაძე ბესიკი
24. ქორიძე თამთა
25. ქორიძე ირაკლი
26. შეროზია პაპუნა
27. ჩადუნელი ირაკლი
28. ჩაჩუა თეონა
29. ჩილაჩავა არჩილი
30. ძირტკბილაშვილი ოთარი
31. წიკლაური თამარი
32. ხუციშვილი ვასილი
33. ჯაფარიძე თინათინი
34. ჯგუბურია დემნა
35. ჯგუშია გოგა
36. ჯიქური სიდონია
37. ჯორთმენაძე მარიამ

2). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633-ის მიხედვით მოხდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის 13.01.2009 წლის N13/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხების კორექტირება:

ა). საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის (ეკონომისტ-ექსპერტის

კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. დადვაძე ოთარი
2. ყურუა ლევანი
ბ). ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ფინანსისტის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. ბოდაველი ნატალია
2. მათითაიშვილი ლაშა
3. სანიკიძე ნიკოლოზი
4. ღვალაძე მარიამი
5. ჩალიგავა თამარი
6. ცისკარიშვილი დიმიტრი
7. ცომაია ირაკლი
8.ჯაფარიძე გიორგი
9. ვარდიშვილი არჩილი
გ). აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ბუღალტრის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. ნიკოლაიშვილი მიხეილი
2. საღარეიშვილი დავითი
დ). კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერთიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. ალადაშვილი დემნა

ე). საერთაშორისო ბიზნესის მართვის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. აბულაძე ლევანი
2. გორდულაძე მარიამი
ვ). მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:

1. ბრეგვაძე ლევანი
2. დარეჯანაშვილი გიორგი
3. კობიაშვილი გიორგი
4. სებისკვერაძე ნიკოლოზი
ზ). ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ეკონომიკური საინფორმაციო სისტემის მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. ბეგიაშვილი ლევანი
2. შარვაძე ლაშა
3. ხახნელიძე ბაქარი
თ). ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ეკონომიკური საინფორმაციო სისტემის მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. თევდორაძე ირაკლი
2. ძნელაძე ბექა
ი). მენეჯმენტის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. მოლაშხია უჩა

კ). მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მატერიალური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. ბასილია გურამი

3). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633-ის მიხედვით მოხდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის 27.07.2006 წლის N53/01 ბრძანებით მინიჭებული ხარისხების კორექტირება:
ა). ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:
1. მირზოევ ფუად
2. ტაბუცაძე გიორგი

3. კვატაშიძე ბექა
4. გაბიჩვაძე გოჩა
5. ბაირამოვა საბინა
6. იდრისოვ ჯეიხუნ
7. ხატიაშვილი შალვა
8. ხასმამედოვ ნაილ
9. ხალილოვ იუნის
10. გასანოვ ლონგინოზ
11. დოსიევ იაშარ
12. ტაბუცაძე ალექსანდრე
13. კიკნაძე გოჩა
14. ზედგენიძე ზაირა
15. მიქაძე ვასილ
16. ლაბარტყავა პაატა
17. ცქიფურიშვილი ისაკო
18. სახურია თამაზ
19. იანტბელიძე მალხაზ
20. მებონია ირაკლი
21. საჯაია ციალა
22. ჩიტიშვილი თამაზ
23. ასკეროვ ფადაილ
24. ხალილოვ ფარიდ
25. აფციაური დავით

4). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633-ის მიხედვით მოხდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის თსუ რექტორის 05.10.2007 წლის N1099/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხების კორექტირება:

ა).ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ფინანსისტის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:

1. ბალაშვილი ნათია
2. გოგიტიძე მარინე
3. მაჭარაძე ივანე
4. ურუშაძე ირაკლი
5. წოწკოლაური თამარი
6. ჭელიძე გვანცა

ბ). ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ფინანსისტის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:

1. ბარბაქაძე უჩა
2. ნიორაძე ირმა
3. რევიშვილი ნინო
4. სირბილაშვილი მარინე
5. ქიბლიანიძე ნინო
6. ყანდაშვილი ირაკლი
7. შელია ლაშა
8. ხუციშვილი ავთანდილი
9. დავით დოღონაძე

გ). აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის შემდეგ კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ბუღალტრის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:

1. ანთაშვილი მზია
2. აბზიანიძე დურმიშხან
3. გოგია თამთა
4. კოჭლამაზაშვილი გიორგი
5. კუტალაძე კობა
6. მგელაძე ნანა
7. ფარცვანია ქეთევანი
8. შერეზადიშვილი თამარი
9. შარტავა ია
10. ჩადუნელი მანუჩარი
11. ხიმშიაშვილი თამარი
12. შუღლაძე ოთარი

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 25;
წინააღმდეგი – 0.

დადგინდეს: 1. მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი

კობიაშვილი იზოლდა

2. მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2014 სასწავლო წლის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი

კოხრეიძე თორნიკე

3. მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2014 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით

1. ასტღიკ მხითარიან (სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე)
2. არამ დერძიან (სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე)

დიპლომი ჩვეულებრივი

3. ასტღიკ გალოიან (სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე)
4. ლეილა ჰასანოვა (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე)
5. შაიგ განბარლი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე)
6. ოლგა აჟგიბეცევა (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე)
7. ვუსალ მამადრზაევ (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე)
8. იზათ ალიზადა (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე)

მოისმინეს: 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ

/სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

მომხსენებელმა ქალბატონმა მანანა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭო ყოველწლიურად ამტკიცებს დოქტურანტურაში მისაღები კონტიგენტის რაოდენობას და პირველ კორპუსში ვაგზავნით აღნიშნულ ინფორმაციას. ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, რომ დოქტურანტურაში მიღება ცხადდებოდა ყოველსემესტრში და წელს პირველად არ გვქონდა მიღება გაზაფხულის სემესტრში, ამიტომ აქედან გამომდინარე, კვოტა გვაქვს. პროგრამის ხელმძღვანელებთან და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესთან კონსულტაციების შედეგად და ასევე, ტურიზმის საერთაშორისო სკოლიდან შემოსული წერილის საფუძველზე დოქტურანტურაში მისაღები კონტიგენტი განისაზღვრა შემდეგნაირად: ეკონომიკა - 30 ადგილი; ბიზნესის ადმინისტრირება - 40 ადგილი და

ტურიზმი - 3 ადგილი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ს. გელაშვილმა, პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. გ. ღაღანიძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: განისაზღვროს დოქტორანტურაში მისაღები კონტიგენტი 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში:

ეკონომიკა - 30 ადგილი;

ბიზნესის ადმინისტრირება - 40 ადგილი;

ტურიზმი - 3 ადგილი.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიუჯეტით გათვალისწინებული სამივლინებო, წარმომადგენლობითი, სესიების, კონფერენციებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის საჭირო თანხების გეგმაზომიერად განკარგვის მიზნით კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი #1) /დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

ვინაიდან ბატონი აკაკი მიქაბერიძე არ ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს, ამიტომ აღნიშნული საკითხი წარადგენა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა თ. ბერიძემ. მომხსენებელმა ბატონმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული სამივლინებო, წარმომადგენლობითი, სესიების, კონფერენციებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის საჭირო თანხების რეგულაცია, რომელიც დღევანდელი წესით განისაზღვრება შეიცავს დიდი დოზით სუბიექტივიზმს. ამიტომ, აღნიშნული წარმომადგენლობითი და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის საჭირო თანხების გეგმაზომიერად განკარგვის მიზნით, გთავაზობთ კომისიის შექმნას და მისი დებულების დამტკიცებას. რა თქმა უნდა, ეს არის ცდა და არა გარანტია, რომ აღნიშნული საკითხი იდეალურად გადაწყდება. ამ პროექტის მიხედვით კომისია წარმოდგენილია ხუთი წევრის შემადგენლობით, კერძოდ, ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე ფინანსების დარგში, საბიუჯეტო კომისიის თავმჯომარე და ასევე ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებიდან თითო წევრი უნდა შევიყვანოთ, გთავაზობთ, რომ ეკონომიკის მიმართულებიდან წევრად იქნას შეყვანილი პროფესორი სიმონ გელაშვილი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებიდან კი პროფესორი ნუგზარ თოდუა, რომელსაც უნდა ვუყაროთ კენჭი. მე ვფიქრობ, რომ ასეთი გადაწყვეტილებით ჩვენ შევიტანთ ობიექტურობის ელემენტს

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 25;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიუჯეტით გათვალისწინებული სამივლინებო, წარმომადგენლობითი, სესიების, კონფერენციებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისთვის საჭირო თანხების გეგმაზომიერად განკარგვის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. თ. ბერიძე, დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე, საბიუჯეტო კომისიის თავმჯომარე, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფესორი სიმონ გელაშვილი, პროფესორი ნუგზარ თოდუა და დამტკიცდეს კომისიის დებულება.

მოისმინეს: სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის ახალი რედაქციის განხილვა და დამტკიცება (იხ. დანართი #2)
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/
მომხსენებელმა ქალბატონმა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს გააცნო ინფორმაცია, რამ განაპირობა და რატომ გახდა აუცილებელი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის ახალი რედაქციის განხილვა-დამტკიცება.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ი. კოვზანაძემ, პროფ. ნ. თოდუამ, ასისტ. პროფ. ვ. არღუთაშვილმა, პროფ. გ. ღაღანიძემ.

აღნიშნული საკითხი გადაიდო ფაკულტეტის საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.

მოისმინეს: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორიის შექმნის შესახებ (იხ. დანართი #3)
/დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დეკანის სახელზე შემოსულია ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის გამგის ბატონი სიმონ გელაშვილის განცხადება სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით. ასევე, აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ელექტრონულად დაეგზავნათ აღნიშნული ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით დებულება, რომელმაც გაიარა შემოწმება იურიდიული კუთხით და ამიტომ გთხოვთ

მხარდაჭერას აღნიშნული ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. თ. ბერიძემ, პროფ. მ. ტუხაშვილმა, პროფ. გ. ღაღანიძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 25;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: შეიქმნას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია.

მიმდინარე საკითხები.

1. დეკანი ბატონი თ. ბერიძე - თქვენ დაგირიგდათ მივლინებების ანგარიში. მოგეხსენებათ, რომ პროფესორები რომლებიც მიდიან სამეცნიერო მივლინებაში ანგარიშვალდებულნი არიან საბჭოს წინაშე. საკმაოდ ბევრი დაგროვდა ასეთი ანგარიშგება, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე დაგზავნოდა საბჭოს წევრებს და გაცნობოდნენ რა შედეგებით დაბრუნდნენ პროფესორები მივლინებიდან.
2. დეკანი ბატონი თ. ბერიძე - ასევე, მინდა მოგახსენოთ, რომ სარედაქციო საგამომცემლო საბჭოში წევრად შევიყვანოთ ბატონი რევაზ გოგოხია. წინა საბჭოს სხდომაზე დავამტკიცეთ სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს წევრების შემადგენლობა და ამიტომ გთხოვთ მხარი დავუჭიროთ ბატონი რევაზ გოგოხიას კანდიდატურას, რომელსაც უზარმაზარი გამოცდილება აქვს და ხელს შეუწყობს საბჭოს მუშაობას.
3. პროფ. ი. კოვზანაძე - დიდ დროს არ წაგართმევთ, უბრალოდ მინდა მოგახსენოთ, რომ მივლინებებთან დაკავშირებით შექნილმა კომისიამ გამიჩინა ფიქრი, რომ ნახავთ წევრებს უმრავლესობა წარმოდგენილია ეკონომიკის მიმართულებიდან და მხოლოდ პროფ. ნ. თოდუაა წარმოდგენილი ბიზნესის მიმართულებიდან, რა თქმა უნდა ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ აქამდე ტრადიციულად ყოველთვის იყო დაცული ეს პრინციპი, ფაკულტეტი წარმოდგენილია ორი მიმართულებით, მხედველობაშიც უნდა მივიღოთ ის, რომ ბაკალავრების, მაგისტრების და დოქტორანტების რაოდენობა ბიზნესის მიმართულებით უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკის მიმართულებით. ამიტომ, ჩემი სურვილი იქნებოდა და იქნებ გვეფიქრა როდესაც ხდება დეკანატის დაკომპლექტება, თქვენ ჩვენი აბსოლიტური თანხმობით აგირჩიეთ, რადგან დეკანი ეკონომიკის მიმართულებიდანაა, ასეთ შემთხვევაში იქნებ ბიზნესის მიმართულებიდან შეგვერჩია მოადგილე. რა თქმა უნდა არანაირი საწინააღმდეგო არ მაქვს ქალბატონი მარინა ჩავლეიშვილის, პირიქით უნივერსიტეტელია, ჩემი მეგობარია და მივესალმები მის დანიშვნას. პერსონალურად რაიმე ამბიცია, რომ არ მაქვს აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით ეს ისედაც ნათელია. ასევე, გქონდა ჩვენ როდესაც აკადემიური საბჭოს პირველი არჩევნები იყო ერთი წევრი ვიყავი მე ბიზნესის მიმართულებიდან და რევაზ გველესიანი იყო ეკონომიკის მიმართულებიდან. ვადის გასვლის შემდეგ ერთადერთი ვიყავი ვინც უარი თქვა ხელმეორედ არჩევაზე, შემდეგ ავირჩიეთ ქალბატონი ქეთევანი. ამიტომ სასურველი იქნება ეს ბალანსი ფაკულტეტზე იყოს დაცული. მოგეხსენებათ, რომ წლების წინ იყო მცდელობა ბიზნესის ფაკულტეტი გამოეყოთ ცალკე, მაშინ სასტიკი წინააღმდეგები ვიყავით მეც, ბატონი ელგუჯა მექვაბიშვილი, ბატონი ნოდარი ხადური და მაშინ შევთანხმდით, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ერთად უნდა ყოფილიყო. ამიტომ კიდევ ვიმეორებ ჩემი სურვილი იქნებოდა ეს ბალანსი დაცული ყოფილიყო, ეს ეხება როგორც დეკანატს, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს, ხარისხის მართვის სამსახურს და ა.შ. რადგან ბიზნესის მიმართულებით უფრო მეტია სტუდენტების რაოდენობა დაახლოებით 4 000-მდე და სადღაც 2 000-მდეა ეკონომიკის მიმართულებით, შეიძლება მეშლება ციფრები, ამას მნიშვნელობა არ აქვს. როგორც უკვე ავღნიშნე, ეს იქნება უკეთესი ფაკულტეტის მომალისთვის.
ბატონი თ. ბერიძე - გეთანხმებით ბატონო ირაკლი.
პროფ. ი. კოვზანაძე - ასევე, მინდა მოგახსენოთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომ ფაკულტეტის საბჭოზე გამოსატანი საკითხებისთვის დეკანი იწვევდა სრული პროფესორებს, ხდებოდა შეთანხმება ცალკეულ საკითხებზე და შემდეგ გამოდიოდა ფაკულტეტის საბჭოზე, მაგალითად, შტატის დამატება ნებისმიერ კათედრაზე, იქმნებოდა გარკვეული შთაბეჭდილება იყო თუ არა საჭიროება რომელიმე კათედრაზე შტატის გამოცხადების და შემდეგ გამოდიოდა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. დღეს შეიძლება ისე გამოცხადდეს შტატი კათედრის გამგემ ვერც კი გაიგოს, ცხადია დაიდება საიტზე და იქედან კი გავიგებთ, მაგრამ, ჩემი თხოვნაა აღვადგინოთ ეს ფორმატი, როდესაც ან ახალი ადამიანი უნდა მივიღოთ, ან ახალი შტატი უნდა გამოცხადდეს გარკვეული კომისია უნდა დაკომპლექტდეს, პროფესორები ხარისხის სამსახურთან ერთად შეთანხმდეს და შემდეგ გამოვიდეს საბჭოზე დასამტკიცებლად.
ბატონი თ. ბერიძე - ბატონო ირაკლი, რაც შეეხება პირველ თქვენ რეკომენდაციას ყურადსაღებია ნამდვილად, მაგრამ მექანიკური არ უნდა იყოს, ობიექტური პირობების არსებობის შემთხვევაში სავსებით გეთანხმებით და მისაღებია. რას შეეხება მეორე საკითხს, გამოცხადებულ შტატებს
პროფ. ი. კოვზანაძე - ბატონო თემურ მე არ ვეხები გამოცხადებულ შტატებს მე ზოგადად ვამბობ და არ ეხება კონკრეტულად ეხლა გამოცხადებულ შტატებს, როცა იქნება შტატის გამოცხადების აუცილებლობა შევიკრიბოთ 15-20 წუთი წინასწარ გავიაროთ და შემდეგ მოხდეს მისი გამოცხადება თუ იქნება მისი ობიეტური არსებობის აუცილებლობა, ან ინფორმაციის სახით მაინც მოხდეს ფაკულტეტის საბჭოზე გამოტანა.
ბატონი თ. ბერიძე - გეთანანხმებით

პროფ. ე. მექვაბიშვილი - ნამდვილად მისაღებია ბატონი ირაკლის მოსაზრებები.
პროფ. ი. კოვზანაძე - ბატონო თემურ ასევე მინდა გითხრათ, რომ აქ იყო საკითხი გამოტანილი სამაგისტრო ნაშრომების შეფასებასთან დაკავშირებით, რომესაც პოლემიკა მოყვა. ეხლა ყველა კათედრას ეწყება კვლევითი პროექტების და სამაგისტრო ნაშრომების დაცვები, ჩემს კათედრაზე 750 სტუდენტია ჯამში გამოსაცდელი, მოგეხსენებათ ურთულესი პროცესია. აქედან გამომდინარე, ხარისხის მართვის სამსახურ ჭირდება ხელმძღვანელი, ამ ფაკულტეტზე ბევრი გამოცდილი კადრია და იქნებ დროებით მაინც მოვალეობის შემსრულებელი შეარჩოთ, რომელიც ამ პროცესებს წაიყვანს და მიაქცევს ყურადღებას, რომ ასეთი გაუგებრობები აღარ იყოს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.
ბატონი თ. ბერიძე - დროებით არ მინდა, თუ ავირჩევ ავირჩევ საარჩევნო ვადით.
4. ქალბატონი მანანა ლობჟანიძე - მინდა მოგახსენოთ, რომ წინა საბჭოს სხდომაზე დავამტკიცეთ სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი კათედრებზე, მინდა შევიდეს შესწორება და პროფ. დ. სიჭინავას ნაცვლად არჩეულ ასისტ. პროფ. რუსუდან სეთურიძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი: თ. ბერიძე

ფაკულტეტის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე